ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის ,,ქართული პოლიტიკა,, სპეციალური გამოცემა

დავით უსუფაშვილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლა „ნატო"-ს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე

2015 #9

სერია: საგარეო პოლიტიკა

ძვირფასო მეგობრებო,

კარგი მმართველობა - ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა. საჯარო ადმინისტრირების სფეროში, სახელმწიფო, რეგიონულ, უწყებრივ, თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწევენ" განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება. ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას.

რედაქცია, დადგენილი წესით, გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს: პარლამენტის სხდომებზე; სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე; სამეცნიერო კონფერენციებზე; სემინარებზე და, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს.მთავარი ამოცანაა: ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან, ამან, შეიძლება სერიოზულად დააზრალოს, როგორც სახელმწიფო, ისე, საზოგადოებრივი ინტერესები.„ქართული პოლიტიკის" რედაქცია ღიაა სათანამშრომლოდ და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოაგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georgianpolitics.

com. გამოცემების ციფრული ვერსია, საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით, უსასყიდლოდ, პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. ის, აგრეთვე, განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: www.politlibrary.ge.

ამჯერად, რედაქცია, ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის გამოსვლას „ნატო"-ს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის" განხორციელებას საქართველოში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის გამოსვლა „ნატო“-ს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე.

გამომცემელი: ქიული შარტავას სახელმწიფო
პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა

წინათქმა

2015 წლის 17 – 18 მაისს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის მიწვევით, ბუდაპეშტში, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაში მიიღო მონაწილეობა.

18 მაისს, დავით უსუფაშვილი პლენარულ სხდომას დაესწრო და სიტყვით მიმართა სხდომის მონაწილეებს.

ასამბლეის ფარგლებში, საქართველოსა და უნგრეთის პარლამენტების თავმჯდომარეებს შორის ორმხრივი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე განხილული იქნა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პერსპექტივები, საქართველო-უნგრეთის პარლამენტებს შორის არსებული კავშირები და თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები საპარლამენტო კომიტეტების დონეზე.

ვიზიტის დასასრულს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მაღალი შეფასება მისცა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესის პოლიტიკურ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ: ,,ნატო - ს ვარშავის 2016 წლის სამიტი, თავისთავად, ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება და ჩვენ გვინდა მივაღწიოთ რაც შეიძლება მეტს.

მემგონი საკუთარმა გამოცდილებამ უკვე დაგვარწმუნა იმაში, რომ ყოველთვის, ყველაფერი, ისე ჩქარა არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა.

მთავარია, ყოველი ასეთი ღონისძიებიდან შესაძლებლის მაქსიმუმი მივიღოთ. ამაზე მუშაობს საქართველოს მთავრობა, ამისთვის მუშაობს საქართველოს პარლამენტი, ამისთვის

მუშაობენ ჩვენი საელჩოები ბევრ ქვეყანაში, მათ შორის - უშუალოდ ნატო - ში.

ვაკეთებთ ყველაფერს, რომ მივიღოთ მაქსიმუმი. რატომ? იმიტომ, რომ ეს არის ერთადერთი გზა ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დღევანდელი ღონისძიებით კმაყოფილი ვარ. თავისთავად, ის ფაქტი, რომ ნატო - ს საპარლამენტო ასამბლეამ გადაწყვიტა მოესმინა ჩვენთვის, ოთხი ასპირანტი ქვეყნის - საქართველოს, მონტენეგროს, მაკედონიის, ბოსნია ჰერცოგოვინას პარლამენტის თავმჯდომარეებისთვის - მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ამით, ნატო - ს საპარლამენტო ასამბლეამ ხაზი გაუსვა იმას, რომ მას სურს, ამ ოთხ ქვეყანასთან, მისი თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდეს.

დღეს, ჩვენს გამოსვლაში წარმატება ვუსურვეთ მათ და ვუთხარით, რომ თუ რომელიმე მათგანი ჩვენზე ადრე მიაღწევს პროგრესს, ჩვენ ეს არ შეგვშურდება, პირიქით, გაგვიხარდება, რადგან მეტი მხარდამჭერი გვეყოლება ნატო - ში.

რაც შეეხება ჩვენს სათქმელს. საქართველოს სჭირდება ნატო და ნატო - ს სჭირდება საქართველო. ჩვენ, ამ თვალსაზრისით, სათხოვარი ბევრი არაფერი გვაქვს, რადგან ნატო - ს ჩვენ არანაკლებს ვთავაზობთ, არამხოლოდ ჩვენი მონაწილეობით სხვადასხვა საერთაშორისო მისიებში, არამედ, ზოგადად, იმითაც, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა, ძალიან მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ და სამხედრო - სტრატეგიულ ადგილას მდებარეობს.

ჩვენ გვქონდა შეხვედრა უნგრეთის პარლამენტის თავმჯდომარესთან, რომელიც ძალიან კეთილგანწყობილია

საქართველოსადმი. მე მას უკვე მესამედ შევხვდი უნგრეთში, ეხლა მოვიწვიე საქართველოში და, მანაც, სიამოვნებით მიიღო ჩვენი მოწვევა.

ზოგადად, უნგრეთი, ჩვენი პოზიციების ძალიან მტკიცე მხარდამჭერია არამხოლოდ ,,ნატო"- ს მიმართულებით, არამედ სხვა თავლსაზრისითაც. ეს, ჩვენი ქვეყნების პრემიერ-მინისტრების შეხვედრის დროსაც გამოიკვეთა.

ზოგიერთ საკითხებში და პოლიტიკურ თემებზე, საქართველოს და უნგრეთის მთავრობებს შეიძლება ერთიდაიგივე პოზიციები არ ჰქონდეთ, მაგრამ, ეს არანაირად არ აისახება ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე. პირიქით, უნგრეთი, საქართველოს ძალიან მტკიცე მხარდამჭერია, მათ შორის, ორმხრივი ურთიერთობის გაფართოების თვალსაზრისითაც.

გარდა ამისა, მე მქონდა შეხვედრა უკვე ოთხი ასპირანტი ქვეყნის სპიკერების დონეზე. მონტენეგროს პარლამენტის თავმჯდომარეს უკვე დიდი ხანია ვიცნობ, მას მაღალი თანამდებობები ეკავა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში და საქართველოში არაერთხელაა ნამყოფი. რაც შეეხება მაკედონიის და ბოსნიის პარლამენტის თავჯდომარეებთან - ეს პირველი შეხვედრა იყო და შევთანხმდით უფრო აქტიურ ურთიერთობებზე.

ხვალ, უკვე მალტაში ვიქნებით და იქ გავაგრძელებთ ოფიციალურ ვიზიტს. შემდეგ გავემგზავრებით ესპანეთში, სადაც, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ესპანეთის სახელმწიფოს მხარდაჭერის მოპოვება. მოგეხსენებათ, ყველა ქვეყანაში, საქართველოს და რეგიონის მიმართ დამოკიდებულების გააზრება ერთნაირი არ არის და, ეს, არც არის გასაკვირი. ამიტომ, ჩვენ, ის ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის წევრები არიან, მაქსიმალურად უნდა დავაინტერესოთ საქართველოთი. ეს ჩვენ გვჭირდება!''

2015 წლის 19 მაისს საქართველოს პარლამენტის დელეგაცია მალტაში გაემგზავრა.

PRESIDENT

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლა „ნატო“-ს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე

18 მაისი, 2015წ.
ბუდაპეშტი, უნგრეთი

ბატონო ვიცე-პრეზიდენტო,
თქვენო აღმატებულებავ,
ქალბატონებო და ბატონებო,

მაქვს პატივი, წარმოვადგინო საქართველო ამ გამორჩეული საზოგადოების წინაშე. ეს გახლავთ ჩემი პირველი მიმართვა ნატოსსაპარლამენტოასამბლეისადმიდამეძლევაუნიკალური შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ ავხსნა, თუ რატომ არის ამ თავყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებები ამდენად მნიშვნელოვანი საქართველოსთვის და თუ რატომ ვსვამთ მე და ჩემი კოლეგები შეკითხვას: „როდის გახდება საქართველო ნატოს წევრი.“

მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა დაახლოებით 25 წლის წინ, ქვეყანამ გამოიარა შიდა არეულობა, სამოქალაქო ომი, სოციალური და ეკონომიკური სირთულეები და მეზობელი ზესახელმწიფოს თავდასხმა, რომელმაც ვერ ამბობს უარს საკუთარ იმპერიალისტურ ამბიციებზე. ამ ძალისთვის, სიძლიერე გამოიხატება სიდიდეში; რაც უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობს, სურს

რომ უფრო დიდი გახდეს. საქართველოს სწორედ ერთერთი ის მეზობელია, რომელმაც ყველაზე მეტად იზარალა დამოუკიდებლობის წლებში. თუმცაღა, ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით სახელმწიფოსა და დემოკრატიის მშენებლობის კუთხით, კანონის უზენაესობასა და კარგ მმართველობაზე დაფუძნებით. ჩვენ არ გავსულვართ რთული და გრძელი გზის ბოლოში, მაგრამ გვაქვს მზაობა, გავხდეთ ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მყარად დგას ორივე ფეხზე საკუთარი გადაწყვეტილებების მისაღებად და რომელიც საიმედო და პროგნოზირებადი სახელმწიფოა თავისი ნატოელი პარტნიორებისთვის. ეს პროგრესი ვერ იქნება მიღწეული ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების გარეშე და მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ვხედავ ბევრ მათგანს ამ დარბაზში, ამ საზოგადოებაში.

საქართველოში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მიუხედავად ზოგიერთი სკეპტიკოსის პოლიტიკურად მიკერძოებული მოლოდინებისს, ახალმა მთავრობამ არა მხოლოდ შეინარჩუნა ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის ტემპი, არამედ აგრეთვე გაატარა რეფორმების ახალი ტალღა, რომლის მიზანიცაა დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარება (რაც არ წარმოადგენდა წინა მთავრობის განსაკუთრებით ძლიერ მხარეს). რამდენიმე მაგალითს ასეთი რეფორმებისა წარმოადგენს ის, რომ ჩვენი ბოლო საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნები საერთაშორისო საზოგადოების მიერ შეფასებული იყო როგორც თავისუფალი და სამართლიანი; არა როგორც „სწორი“ ნაბიჯი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისკენ, არამედ როგორც ნამდვილად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები; ჩვენ მივიღეთ ადამიანის

უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს; პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც უპრეცედენტოა ჩვენს რეგიონში; ჩვენ გავამყარეთ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა; ჩვენ გადავდგით ეფექტური ნაბიჯები მედიის დამოუკიდებლობისა და პლურალიზმის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, ბიზნესის სახელისუფლებო ჩარევისაგან გასათავისუფლებლად. მივაღწიეთ ჩვენ სრულყოფილებას? არა, არ მიგვიღწევია, მაგრამ ჩვენი მიზანია გავხდეთ ბევრად უკეთესები, ვიდრე ვიყავით.

ამავდროულად, ჩვენი ევროატლანტიკური ტრაექტორია არა მხოლოდ საბოლოო შედეგებზე გათვლილი პროექტია,

რომლის მიმართულება ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისაკენ არის დასახული. ფართო პოლიტიკური კონსენსუსი, რომელსაც ამყარებს საზოგადოებრივი მხარდაჭერა - 70%-ზე მეტი, ბოლო გამოკითხვის მონაცემების მიხედვით - ემხრობა ნატოში გაწევრიანებას. ჩვენი ევროატლანტიკური მისწრაფებები, რუსეთის ზეწოლის მიუხედავად, წარმოადგენს უფრო მეტად განაცხადს იმისა, თუ როგორი გვსურს ვიყოთ ჩვენ, საქართველო, და არა იმისა, თუ როგორი არ გვსურს ვიყოთ. ჩვენ კი გვსურს, ვიყოთ უსაფრთხო დემოკრატიული ქვეყანა ნამდვილად ღია ბაზრითა და კანონის უზენაესობით.

საქართველოს კურსი ნატოს მიმართულებით შეუქცევადია. ჩვენი ნება შევიტანოთ წვლილი ევროატლანტიკური

კოლექტიური უსაფრთხოების არქიტექტურის გამყარებაში საკმაოდ ცხადად დაფიქსირდა თუნდაც იმით, რომ საქართველო სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი კონტრიბუტორია ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს შორის ავღანეთში. საქართველო შესაძლოა არ იყოს ალიანსის სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა, მაგრამ იურიდიულად, პოლიტიკურად და ტაქტიკურად ჩვენ ვართ კოლექტიური უსაფრთხოების ღირებული და მონდომებული კონტრიბუტორი: ჩვენ არა ვართ უსაფრთხოების მხოლოდ მომხმარებელი ქვეყანა!

ნატოს „ღია კარის“ პოლიტიკამ გვიჩვენა, რომ ის წარმოადგენს წარმატებულ მაგალითს, როგორც ახალი მოკავშირეებისათვის, ასევე, მთლიანად ალიანსისათვის. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ „ღია კარის” პოლიტიკა არ იქცეს

„მბრუნავი კარის” პოლიტიკად - სადაც ასპირანტი ქვეყნები ჩაკეტილ წრეზე მოძრაობენ. თუ ასე მოხდა, ამით მხოლოდ ასპირანტი ქვეყნები არ დაზარალდებიან…

ნატოს ბუქარესტის სამიტზე გაკეთდა მტკიცე განაცხადი, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქყვეყანა. დღეს, პოლიტიკურად და ტაქტიკურად, საქართველო ისევეა მზად ალიანსისთვის, როგორც ალიანსის ბევრი ამჟამინდელი სრულუფლებიანი წევრი იყო მაშინ, როდესაც ისინი ალიანსში მიიწვიეს. 2014 წელს, ჩვენ უელსში მოვისმინეთ, რომ „საქართველოსა და ალიანსის ურთიერთობა შეიცავს იმ აუცილებელ მექანიზმებს, რომლებიც საჭიროა ალიანსში გაწევრიანებისთვის”. ბევრმა საქართველოში ეს აღიქვა, როგორც 12-წლიანი მოგზაურობის შემდეგ, საქართველოსთვის მინიჭებული „დე-ფაქტო” წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP). არ მსურს, რომ ამ ხალხს იმედი გაუცრუვდეს გაჭიანურებული საუბრებით იმის შესახებ, იმსახურებს თუ არა საქართველო წევრობის სამოქმედო გეგმას (MAP).

ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ატლანტიკურმა თანამეგობრობამ არ უნდა დაუშვას რეგიონში პასიურობა. დაუცველობის ფასი უკვე საკმაოდ მაღალია იმიტომ, რომ შავი ზღვა ნატოს რეგიონია. მეორეს მხრივ, უსაფრთხოების პოტენციური სარგებელი საკმაოდ დიდია: აბრეშუმის გზის გახსნა, გზატკეცილებით, ჩქაროსნული რკინიგზით, ნავთობსადენებითა და სხვა მრავალი პროექტით, რომელიც ევროპასა და აზიას მოსკოვის ნებართვის აუცილებლობის გარეშე ერთმანეთთან აკავშირებს. რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარეშე, ეს ვერ მოხდება ან ათწლეულების

მანძილზე შეყოვნდება. ერთი შეხედვა რუკაზე საკმარისია იმისათვის, რომ ეს გავაანალიზოთ. საქართველო არის უმნიშვნელოვანესი შემაკავშირებელი ევროპასა და აზიას შორის, რუსეთის ნებართვის გარეშე.

ვიყოთ გულწრფელები. არავის, მით უმეტეს საქართველოს მოქალაქეებს, არ სურთ ძალისმიერი დაპირისპირება მოსკოვთან, რომელსაც მოყვება შესაბამისი რეაქცია. ჩვენ ვერ მოვახერხეთ ამის თავიდან აცილება 2008 წელს და ამჟამად ჩვენი ტერიტორიის 20%-ი ოკუპირებულია და იმყოფება რუსეთის მხრიდან სრული ანექსიის საფრთხის ქვეშ. ჩვენ გვსურს ამ კონფლიქტების მოგვარება, მაგრამ ამგვარი ქმედებით არ გვსურს მთელი ქვეყნის რისკის ქვეშ დაყენება. ამიტომაც, ამ ეტაპზე, შეგვიძლია შემოქმედებითი მიდგომით გადავჭრათ ერთი შეხედვით მოუგვარებელი წინააღდეგობა მე-5-ე მუხლსა და მიმდინარე ოკუპაციას შორის. საქართველოს უსაფრთხოების სფეროს დღის წესრიგი შეეხება ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენასა და შენარჩუნებას. ჩვენი პოლიტიკური დღის წესრიგი კი არის დემოკრატიული მოდერნიზაცია და ეკონომიკური ზრდა, რაც ვერ მიიღწევა სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარეშე.

უელსის სამიტის შედეგი იყო ნაბიჯი, გადაგმული სწორი მიმართულებით, თუმცა არ წარმოადგენდა გარღვევას. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი მნიშვნელოვნად გააღრნავებს ნატო-საქართველოს თანამშრომლობას თავდაცვის სფეროში და შეამზადებს საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის.

გაძლიერებული საჰაერო პატრულირება ბალტიისპირეთში და საზღვაო მოქმედებები შავ ზღვაში, ისევ როგორც „მზადყოფნის

სამოქმედო გეგმა“ და გაფართოებული „სწრაფი რეაგირების ძალები“ წინ გადადგმული ნაბიჯია უსაფრთხოების საერთო ქსელში მონაწილეობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავდება კოლექტიური უსაფრთხოებისგან. ჩვენი ურთიერთობები, უსაფრთხოების ქსელის ფარგლებში, წარმოადგენს ეროვნულ შესაძლებლობათა გაფართოებით ქმედების შემაკავებელ საშუალებას და არა სტატუს-ქვოს გადასინჯვას.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავიმეორო: ეს არის საქართველოსთვის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ალიანსმა კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი პოზიცია რეგიონში.

ჩვენ ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ უკრაინაში არსებული კრიზისი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის კონსოლიდირებული ძალისხმევით. ჩვენ ვიმყოფებით მნიშვნელოვან ეტაპზე და უნდა ღიად ვუთხრათ რუსეთის ფედერაციას, რომ მიუღებელია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში პირველად ჰელსინკის ფუძემდებლური აქტის დარღვევა და ევროპაში ფორმალური ანექსიების წარმოება. რუსეთის ღია სამხედრო კამპანია სხვა სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ ხაზს უსვამს ეფექტური ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას ევროატლანტიკური თანამეგობრობის მხრიდან. რეაგირება უნდა იყოს ადეკვატური, თანმიმდევრული და განგრძობითი ხასიათის. მოსკოვს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა და მოუწიოს როგორც პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკური საფასურის გადახდა უკრაინის, საქართველოსა და სხვა შემთხვევებისთვის.

2014 წელი არ უნდა გახდეს 2008 წლის გაგრძელება; უკრაინაში არ უნდა განმეორდეს საქართველოს შემთხვევა. ჩვენ ამ ტრიბუნიდან მოვისმინეთ, რომ ნატოს სჯეროდა, რუსეთთან პარტნიორობის შესაძლებლობის საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ უნდა იყოს ყირიმის შემთხვევის მსგავსი. რუსეთი არ
უნდა მოელოდეს ჩვეულ რეაგირებას თავის ქმედებებზე, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წაიშლება ზღვარი „შუა“, „შორეულ“ და „ახლო“ საზღვარგარეთის რუსეთისეულ კონცეფციას შორის. რუსეთი უნდა იყოს ჩართული პროცესებში, მაგრამ იმისათვის, რომ არ დაირღვეს ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის მთლიანობა, უნდა არსებობდეს შემაკავებელი ფაქტორები.

„ღია კარის“ პოლიტიკის მხარდაჭერა დღესდღეობით გულისხმობს, რომ რუსეთი ვერ დააშინებს ნატოს წევრ ქვეყნებს და დაადასტურებს წითელი ხაზების არსებობას. დადგა დრო, გადაიდგას კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესთან მიმართებით, მაგრამ ეს უნდა იყოს ამ მხრივ გადამწყვეტი ნაბიჯი და მოახლოებული ნატოს სამიტი ვარშავაში წარმოადგენს შესაფერის ადგილს ამისათვის. როგორც ყოველთვის, ჩვენ თქვენი - ნატოს წევრ ქვეყნებში პასუხისმგებელი პოლიტიკოსების - იმედი გვაქვს. დადგა დრო, საქართველოსთან დაკავშირებითაც მიღებულ იქნასსერიოზულიპოლიტიკურიგადაწყვეტილება.ამიტომაც, ვარშავის სამიტზე ჩვენ მოველით საქართველოსთვის [ნატოს] წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მონიჭებას ან იმის განცხადებას, რომ საქართველოს აღარ სჭირდება წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP) და „MAP“-ი არ წარმოადგენს

გაწევრიანების წინაპირობას. ეს არის ჩვენი მოლოდინი და მჯერა, რომ ვარშავის სამიტის გადაწყვეტილება ამგვარი იქნება: წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP) ან განცხადება, რომ „MAP“-ი აუცილებელი აღარაა. მჯერა, რომ ეს იქნება ნატოს ყველაზე ადექვატური პასუხი არა მხოლოდ საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებასთან დაკავშირებით არამედ იმ გამოწვევების მიმართ, რომელთა წინაშეც დგას დღევანდელი მსოფლიო.

დასასრულ, ამ მაღალი ტრიბუნიდან მინდა მივმართო ჩვენს კოლეგებს სხვა ასპირანტი ქვეყნებიდან და მათაც, ვინც გარკვეული მოლოდინით შეყურებს ნატოს - არ დანებდეთ! ჩვენ, ქართველებს, არ შეგვშურდება თქვენი წარმატება, თუ თქვენ ჩვენზე უფრო სწრაფად მიაღწევთ მას - პირიქით, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ უფრო მყარად ვიგრძნობთ თავს.

ქალბატონებო და ბატონებო,

მსურს გადაგიხადოთ მადლობა ყურადღებისათვის. მსურს, კიდევ ერთხელ მოგიწვიოთ 2017 წლის ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოში - არც „MAP“-ი და არც სხვა წინაპირობა არ ახლავს თან ამ მოწვევას.

გმადლობთ!

Address by the Speaker of the Parliament of Georgia David Usupashvili at the NATO Parliamentary Assembly Spring Session

Georgia's road to NATO and expectations from the Alliance Budapest

Budapest, May 18, 2015

Mr Vice President,
Your excellences,
Ladies and Gentlemen.

It is a privilege to represent Georgia in front of this distinguished audience. This is my first address to the NATO Parliamentary Assembly and it gives me unique opportunity to once again explain why decisions made at this gathering are so important to my country. And why my colleagues ask the same question: when Georgia will become member of NATO

Since Georgia's independence almost 25 years ago, the country has gone through domestic upheavals, Civil War, socioeconomic hardship and an invasion by the neighbouring superpower, which cannot abandon imperialistic powers. Stronger means bigger; stronger it becomes, bigger it wants to be. Georgia was one of its neighbours who suffered the most during these years of our independence. However, we did make strides in building a state and a democracy based on the foundations of rule of law and good governance. We are not at the end of that turbulent and long journey but we are committed to become a capable state that stands firm on its both feet to make its own decisions, a reliable and predictable state for our partners in NATO member countries. This progress could not be achieved without the help of our friends and allies, and I'm very delighted to see many of them in this hall, in this audience.

Since the 2012 Parliamentary elections in Georgia, despite politically biased expectations of some skeptics, the new government not only sustained the tempo of Euro-Atlantic integration of the country, but introduced the new wave of reforms aiming at strengthening democratic institutions, which was not a particularly strong side of the previous government. To name a few, our last Presidential and local elections were praised by the international community as really free and fair, not "right" steps towards free and fair elections, but really free and fair elections; we have adopted a national strategy for the promotion of Human Rights that adheres to EU standards; the Parliament has adopted the law on the "Elimination of All Forms of Discrimination" that is unmatched in our region; we reinforced the independence of the judiciary; we took effective steps to guarantee media independence and pluralism, as well as to free businesses from power abuse. Are we perfect? No, we are not but we are committed to become much better than we used to be.

At the same time, make no mistake. Our Euro-Atlantic trajectory is not solely an end-oriented project paved with milestones towards

EU and NATO membership. The wide policy consensus and an overwhelmingly supportive of public opinion – more than 70% according to the latest polls – are in favour of NATO membership. Our Euro-Atlantic

aspirations, despite Russian pressure, is more a statement about what we want Georgia to be than what we don't want to be, and we want to be a secure democratic state with a truly open market and rule of law.

Georgia's course towards NATO is irreversible. Our commitment to the Euro-Atlantic collective security architecture has been made abundantly clear, not least through our recognition as the largest non-NATO member troop contributing nation in Afghanistan. Georgia may not be a full member of the alliance, but legally, politically and tactically we have been a valuable and willing contributor to collective security: we are no free riders.

NATO's 'Open Door' policy has proven to be a real success story both for the new Allies and the Alliance as a whole. However, it is critical that the "Open Door" policy does not become a "Revolving Door" policy – where aspirant countries are stuck in the rotation. If that will be the case, not only the aspirants would suffer.

During 2008 Bucharest Summit NATO sent out a strong message: Georgia will become a NATO member. Today, politically and tactically, Georgia is as prepared for the alliance as several of the current full members have ever been when they were invited. In 2014 we heard in Wales that "Georgia's relationship with the Alliance contains tools necessary to continue moving Georgia forward towards eventual membership". Many in Georgia interpreted these words as Georgia been given "de-facto" MAP, after more than 12 years of journey. I do not want to those people being disappointed by prolonged talks about whether Georgia deserves MAP or not

We strongly believe that the Atlantic community cannot afford not to be engaged in our region. The price of insecurity is already high, because the Black Sea is a NATO region. On the other hand, the potential benefits of security are great: the paving of a Silk Road, complete with highways, high speed railways, pipelines and the likes, which connect the Europe and Asia without the need of a permission from Moscow. This cannot happen, or will be delayed for decades, without stability and security in our region. And the best proof to these words is just the map, one look at the map is enough to realize that that's the case. Georgia is vital state for keeping Europe and Asia connected without Russian permission.

Let us be frank. No one, least of all the citizens of Georgia, want a bellicose stand vis-à-vis Moscow that would be met in kind. We could not avoid that in 2008 and now have 20% of our territory occupied and under the immediate threat of full annexation by Russia. We want to solve these conflicts; but doing so, we do not want to sacrifice the whole country. Therefore, we could be elaborative enough to resolve the seemingly unresolvable

contradiction between Article 5 and ongoing occupation for time being. Georgia's security agenda is about deterrence and the restoration of sovereignty; our political agenda is about democratic modernization and economic growth, which could not be achieved without stability and security.

Wales was a step in the right direction – not a breakthrough. The NATO-Georgia Substantial Package' will significantly deepen NATO-Georgia cooperation in the defence and military fields, and help further prepare Georgia for eventual membership of the Alliance.

Increased air patrols over the Baltics and naval deployments in the Black Sea as well as the new 'Readiness Action Plan' and the enhanced Rapid Response Force are a step towards networked security. It should be noted that it is clear that this is different from collective security. Our networked relationships are about deterrence on the basis of enhanced national capability, not revision of the status quo.

We all agree that the current crisis in Ukraine can be resolved only with the consolidated efforts of the international community. We are at a critical juncture and we need to clearly demonstrate to the Russian Federation that infringing upon the Helsinki Final Act and proceeding with formal annexations in Europe for the first time since the Second World War is not acceptable. Russia's open military campaign against another sovereign state highlights the urgency for the Euro-Atlantic community to take effective steps. The response has to be adequate, coherent and persistent. Moscow has to be made liable and pay both the political and the economic price for Ukraine, Georgia and elsewhere.

2014 must not be allowed to be a sequel of 2008; Ukraine should not be like Georgia. And we heard from this tribune that NATO believed that it was possible to make partnership with Russia after Georgia 2008 war. Abkhazia and South Ossetia should not be like Crimea. Russia must not expect business as usual, as it happened before. If not, who is to say that a "Middle Abroad" and then a "Further Abroad" do not match the "Near Abroad" concept of Russia? Russia must be engaged. But, for the Euro-Atlantic security architecture to retain its integrity there must be deterrence.

Upholding the "Open Door" policy now will demonstrate that NATO members cannot be bullied by Russia and will affirm that there are red lines. The time has come for another step to be made on Georgia's NATO integration process, but this has to be a decisive step in this direction and upcoming Summit in Warsaw is the right place for that. As always, we count on you – politicians who are responsible in the NATO member countries – the time has come for responsible political decisions about Georgia as well. Therefore, during the Warsaw Summit we expect a clear decision about giving Georgia MAP or making it clear that Georgia does not need MAP anymore and membership is not preconditioned to MAP. That's our expectation and I believe that this will be decision

at WARSAW Summit, MAP or declaration that there is no need for MAP. I believe this would be most adequate response of NATO not only about Georgia's NATO aspirations, but on challenges we are effective worldwide.

At the end, from this high podium, I want to address our colleagues from other aspirant countries and the others who are looking to NATO future expectation – keep going! We, Georgians, will not be jealous of your success, if some of you make it sooner than us; just the opposite – we will feel stronger because of your presence there.

Ladies and Gentlemen,

I want to thank you for your attention and your understanding to reiterate our sincere invitation to hold 2017 NATO Parliamentary Assembly in Georgia – There is no MAP or any other conditionality attached to this invitation!

Thank You!

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

დავით უსუფაშვილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეა 2012 წლის ოქტომბრიდან.

დაიბადა 1968 წლის 5 მარტს.

განათლება:

სწავლობდა სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს საშუალო სკოლაში (1975-1985).

დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1985-1992).

სწავლობდა დიუკის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტში (1997-1999).

სამუშაო გამოცდილება:

იყო საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე (2005-2013).

მუშაობდა USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამაში (1999-2005).

იყო საქართველოს პრეზიდენტის ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფის აღმასრულებელი მდივანი (2000-2001.)

ხელმძღვანელობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (1994–1997);

იყო საქართველოს პრეზიდენტის იურიდიული მრჩეველი და მისი წარმომადგენელი პარლამენტში (1992-1994).

იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი და იურიდიული კონსულტანტი (1990-1994).

ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1992-1996) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში (1999-2011).

ჰყავს მეუღლე, თინათინ ხიდაშელი და ვაჟები - ალექსანდრე (2000) და გრიგოლი (2006).

BIOGRAPHY

David Usupashvili The Speaker of the Parliament of Georgia

The Speaker of the Parliament of Georgia since October, 2012

Davit Usupashvili was born on March 5, 1968

Graduated from Secondary School of the villae Magharo, Sighnaghi region (1975-1985)

Graduated from Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Legal Faculty (1985-1992); Duke University, Public Policy Faculty (1997-1999)

He was the Chairman of the Republican Party of Georgia (2005-2013)

He worked in USAID Rule of Law Program (1999-2005)

He was the Executive Secretary of the Anti-Corruption Working Group of the President (2000-2001)

He headed the Georgian Young Lawyers Association (1994-1997)

He was the Legal Advisor of the President and the representative of the President to the Parliament (1992-1994)

He was the member and the legal consultant of the Central Election Commission (1990-1994)

He conducted the pedagogical activity in Tbilisi State University (1992-1996) and in GYLA (1999-2011)

He has a wife, Tinatin Khidasheli and sons Alexander (2000) and Grigol (2006)

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ანჟელა ბზიკაძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ირინე ბარამიძე	მხატვარ-დიზაინერი
ია გაჩეჩილაძე	კორექტორი

ჟიული შარტავა 1944 - 1993 წ.წ.

ეროვნული გმირი, წმინდა ბიოჩების ოჯოს, ვახტანგ ბოჩიბასლის პირველი ხარისხის და სხვა ორდენების კავალერი, გენერალ-მაიორი

2014 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დაფუძნდა ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ჟიული, ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მობვიანებით, მან, აკვე დაისვა დისერტაციამართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას, ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი, დაფუძნდა, ჯერ, ახალგაზრდული პრობლემების შემსწავლელი, ხოლო შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის მესწავლის, ფორმირების და პრობლემურიების სამეცნიერო ცენტრები. მისი პატრონობით, სახელმწიფო - მართველობით საქმიანობაში პირველად დაინერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. ,,სისანი", რომელმაც, მთლიანად შეცვალა ქვეყნის ეგბიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული პრაქტიკა.
ახალგაზრდობაზე ზრუნვა, ჟიულის სხოვრების ძირითადი მიზანი იყო. მისი უზარმაზარი ძალისხმევით, შავნაბადაზე, გაშენდა ,,ახალგაზრდული ქალაქი" დაფუძნდა ახალგაზრდა ეროლიტოლოსთა თანამედროვე სასწავლებლები, სხვა სამეცნიერო და ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომლის მსგავსი, მაშინ, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში არ მოიძებნებოდა. მან, სხოვრებაში განახორციელა დიდი ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ოცნება და მდინარე ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარა ,,მზიურის" მშენებლობას, ხოლო, მობვიანებით, რესთაველ მოზარდებს ,,არჭაკ" უნიკალური საბავშო ჩინიბზე, რომლის გაშენება, მისი ტოტალური დევნის პირობებში, გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები ,,ნითელ ხიდზე" და ,,ჩუხეში", ქართველ - აფხაზთა და მთლიანად ჯავასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცნენ.
ჟიული შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა ,,ჯარი მმართველობის" მესანიშნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ვეჟაკის გმირული ნაბიჯი. მისი მოწამეობრივი სხოვრება, ღირსეულად შეაფასა მისმა უნმინდესობამ, სრულიად საქართველოს-ჯათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ, რომელსაც გაანსხვავდა, რომ მან - ,,ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, ურთულეს დროში, ისხოვრა ისე - თითქოს მთელ ტკივილს ღობაღობდა საკუთარ თავზე".